დოქტორანტის პოტენციური ხელმძღვანელი - ლ. ფირცხალავა
კვლევის თემატიკა და ანოტაცია - „ევროპა XIX საუკუნეში“

XIX საუკუნე ევროპის ისტორიაში არის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და გარდამტეხი მონაკვეთი, რომელმაც განსაზღვრა მომავალი საუკუნე და რომელიც უახლესი ისტორიის მნიშვნელოვანი მოვლენების საფუძვლად იქცა.

მოცემულ პერიოდში ჩნდება ახალი ცივილიზაცია, ურთიერთობების ახალი სისტემა, ევროპაცენტრული სამყარო, „ევროპული სასწაული" და ევროპული ცივილიზაციის ექსპანსია, გაფართოება მსოფლიოს სხვა ნაწილებზე.

დოქტორანტის ფინანსური მხარდაჭერა
საქართველოს უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულების თანახმად, დოქტორანტი უფლებამოსილია მიიღოს გრანტი კვლევითი კომპონენტების შემადგენელი აქტივობების დასაფინანსებლად უნივერსიტეტში მოქმედი წესის შესაბამისად.